ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 187
სეკდემბრის 4, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 187
სეკდემბრის 4, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, დოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 **მან.**
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 **მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდი საკუთარი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესაფერად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქანს შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

[illegible] და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—20)

1-ლ ენკენისთვიდგან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოთხ-კლასიანი

ქალების სასწავლებელი

პროგიმნაზიის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში.

(10—6.—1)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

◆ გუშინ, 3 ამა ენკენისთვეს, დილის 11½ საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საქტო დარბაზში მასწავლებელთა და მოწაფეთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყოფილის მზრუნველის, განსვენებულის კ. პ. იანოვსკის სულის მოსახსენებლად.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლა დაიწყო ორს ამა ენკენისთვეს.

◆ ქალაქის სადეზინფექციო კამერას 16 აგვისტოდგან 2 სეკდემბრამდე შემოსვლია 146 მან. 46 კაპ.

◆ ტფილისის სახაზინო პალატის გამგემ მიჰმართა ქალაქის თავს და სთხოვა, ქალაქმა საგუბერნიო ხაზინაში მალე შეიტანოს 400 მანეთი იმ საგანგებო კომისიის სასარგებლოდ, რომელმაც უნდა გააწეროს მომავალ 1903 წლის ტფილისის უძრავ ქონებაზედ სახელმწიფო გარდასახადი და სხვა-და-სხვა ხარჯიო.

◆ ტფილისის ქუჩების მგველმა ძველმა მუშებმა მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს: რადგანაც ბევრი ჩვენთაგანი წავიდა ოსმალეთში და მათ მაგიერ სულ ახლები შემოვიდნენ, საქმის გაკეთება ჩვენ, ძველებს, დაგვწვა თავსაო, მერე კიდევ, რადგანაც ბევრი ჩვენგანი 15—20 წელიწადია ემსახურება ქალაქსა და ყველა ჩვენგანი თითქმის ცოლშვილიანია, ამიტომ გთხოვთ მოგვიმატოთ ჯამაგირიო.

◆ 15 სეკდემბრიდგან იზმიროვის სახლში გრიბოედოვის ქუჩაზედ (არშაკუნისეული სახლი) დაიწყებს თავისს მოქმედებას „უცხო ხელოვნებათა საზოგადოების“ სასწავლებელი; ერთ-ერთ ამ სასწავლებლის დარბაზში იქმნება მუდმივი სურათებისა და ქანდაკებათა გამოფენა; დირექტორად ამ სასწავლებლისა დანიშნულია ბ-ნი გ. ი. გაბაშვილი. ამ სასწავლებელში შესვლის მსურველთ უნდა მიჰმართონ სკოლის დირექტორს.

◆ ტფილისის სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა მიჰმართა გამგეობას და სთხოვა: რადგანაც პირველ სეკდემბრისათვის ყველა ჯარში ნამსახურალი უნდა გამოცხადდეს სამხედრო უფროსის წინაშე გასასინჯავად, ამიტომ გთხოვთ გარდმომცეთ იმათი დათხოვნის ბილეთები, რომელნიც ქალაქის სასანიტარო საექიმო უწყებაში ემსახურებიანო. ინსპექტორი ამათს ბილეთებს ითხოვს 5 სეკდემბრის არა უგვიანეს.

◆ როგორც ქალაქის აუქციონის უწყებიდანა სჩანს, 23 აგვისტოსათვის გაყიდულა სხვა-და-სხვა დაგირავებული ნივთი 20,942 მან. 93 კაპ., ხოლო 1 სეკდემბრისათვის 30,716 მან. 58 კ.

◆ ტფილისის საბჭოს ექიმი ქალი შჩერბინინი დაბრუნდა და პირველ სეკდემბრიდგან კვლავ შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

◆ ოკდომბრის დამდეგს „უცხო ხელოვნებათა საზოგადოება“ ტფილისის დიდების ტაძარში გაჰმართავს სურათებისა და ქანდაკებათა გამოფენას.

◆ ჯერ ტფილისის პოლიცმეისტერმა აღძრა შუამდგომლობა, რომ პოლიციის მოხელის კაიზერის სახლობას ქალაქის გამგეობამ დაუნიშნოს რაიმე შემწეობაო და ამავე საგანზედ შემდეგ გუბერნატორმა სთხოვა გამგეობას ეგ შემწეობა. ამ ბოლოს დროს-კი გამგეობამ ხელ-მეორედ მისწერა პოლიცმეისტერს, წარმოადგინე ამ საქმის შესახები მოსაზრებანიო. ამაზედ პოლიცმეისტერმა აუწყა, რომ ნუღარ შესწუხდებით, ჩემი თხოვნა უკან მიმაქვსო.

◆ ეპისკოპოზ დიმიტრის თავმჯდომარეობით შესდგა კომიტეტი, რომელსაც დაევალა შეადგინოს ქართულ საეკკლესიო საგალობელთა კრებული, რომელიც შემოღებულ იქმნება საგალობელთა შესასწავლად სამრევლო სკოლებში, ვითარცა სახელმძღვანელო. როგორც შევიტყეთ, კომისია უკვე შესდგომია მუშაობას. ამ საქმის შესასრულებლად მიუწვევიათ სამრევლო სკოლებში გალობის მასწავლებლები ბ-ნნი ჩახნაევი და შარაბიძე.

◆ მკათათვის გასულს ნავთლუღში მცხოვრებმა ბ-ნმა სარაჯიშვილმა მიართვა ქალაქის გამგეობას თხოვნა, ვიკისრებ ავლაბრიდგან ნავთლუღამდის რკინის გზის გაყვანასაო; რკინის გზა, სარაჯიშვილის პირობით, ქალაქის საყასბომდის უნდა მისულიყო. თუმცა სარაჯიშვილმა ორჯერ-სამჯერ ითხოვა პასუხი, მაგრამ რადგანაც გამგეობას დაბოლოვებით არ განეხილა ეს საქმე, ამიტომ გადაჰქრით ვეღარაფერი შეატყობინა; როგორც შევიტყეთ, სარაჯიშვილის თხოვნა ხელმეორედ იქნება განხილული გამგეობის მორიგს კრებაზედ.

◆ გუშინ-წინ ბათუმიდგან ტფილისში მომავალმა სახალხო მატარებელმა სამის საათით დაიგვიანა. მეეტლეებმა სამის საათის ფასი იმ პასაჟირებს გადაახდევინეს ახალის დებულების ძალით, რომელნიც ეტლით წავიდ-წამოვიდნენ ვაგზლიდან თავ-თავიანთ ბინაზედ.

◆ კვირას, 1 სეკდემბერს, მუშტაიდის ახლო კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა. გიმნაზიის 11—12 წლის შეგირდს, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზედ იდგა და უცდიდა მუშტაიდიდგან მომავალ კონკის ვაგონს, უკანიდგან წამოეპარა მეორე ვაგონი და ჩავარდა შიგ ცხენებ შუა. სანამ კუჩერი შეაჩერებდა ვაგონს, ვაგონი ზედ შეადგა ყმაწვილს და მარცხენა ფეხზედ გადუარა წინა თვალმა. ბავშვს მუხლის ძვალი ორგან აქვს გადატეხილი. გარდა ამისა, როდესაც კუჩერს ალაყი მოუტრიალებია შესაჩერებლად, ალაყის ქვემოთა ნაწილს ბავშვისათვის ბარძაყიდგან ამოუგლეჯია ვეებერთელა ნაჭერი ხორცისა და ერთს ცხენს თავში ჩაუკრავს ნალიანი ფეხი. რაღაც განგებით ცხენები არ დამფრთხალან, თორემ სიკვდილს ვეღარაფერი გადაარჩენდა. ვაგონი სავსე იყო ხალხით. მისცვივდნენ მაშინადვე ვაგონს, ასწიეს და რის ვაი-ვაგლახით გამოათრიეს ცოცხალ-მკვდარი ყმაწვილი.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას რამდენმამე გამოუცხადა სურვილი მომავალ სეზონში დასში შესვლისა; დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამათთვის გამოსაცდელ წარმოდგენას დაჰნიშნავს ამ სეზონის დამდეგს, ესე იგი 20 სეკდემბრამდე.

◆ რუსეთის სამკურნალო მთავარ-სამმართველოს კავკასიის საექიმო განყოფილებისათვის გადაუდვია 100,000 მან.

◆ ამ ორის კვირის წინად ბ-ნ ა. ჩოლოყაშვილმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას პროექტი იმ ქუჩების გაზით განათებისა, რომლებიც არ განათდებიან ელექტრონით. სხვა პირობათა შორის, ბ-ნი ჩოლაყაშვილი ამ განათების კონცესიას 36 წლითა თხოულობდა; ქალაქის გამგეობის ზოგიერთ წევრის აზრით, საეჭვოა, რომ ეს პროექტი შეწყნარებულ იქმნას, რადგანაც ელექტრონით და სხვა-და-სხვა სისტემის ფარნებით განათებას ეხლა უპირატესობა ეძლევა, ვიდრე გაზით განათებასა, რადგანაც ხარჯი, შედარებით გაზით განათებასთან, უფრო ნაკლებიაო.

◆ ამ თვის გასულს პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოვა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უფროსი ბ-ნი პეტროვი; როგორც შემოგვესმა, ბ-ნი პეტროვი განიხილავს დიდის ხნის აღძრულ საქმეს შესახებ ჯამაგირების მომატებისა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის. სხვათა შორის, პეტროვი განიხილავს მოხელეთა თხოვნას—შემცირდეს სამუშაო დრო და გამრავლდეს მოხელეთა შტატები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

◆ რადგანაც მე-2 დედათა გიმნაზიისათვის საკუთარს შენობას ამზადებენ და ამ ჟამად ეს შენობა მზათ არ არის, ამიტომ ოფიციალურად სწავლა ამ გიმნაზიაში დაიწყება 9 სეკდემბერს.

◆ მე-2-რე დედათა გიმნაზიისათვის ახლად აგებულს შენობას აკურთხებენ 8-ს ამ თვეს.

◆ ბაქოს ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის გამგეობას და სთხოვა, შეატყობინოს, შეუმცირა სამუშაო დრო უსახელო საზოგადოების მოსამსახურეთა თუ არა და ან რა ცვლილების მოხდენას აპირებს ამ საზოგადოების მოხელეთა სამუშაო დროს განსაზღვრის საქმეში.

◆ ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, მოგვეცით კოპიო ქუჩაში მაწანწალა ძაღლების დამხოცთან დადებულ ხელშეკრულობისა და აგრეთვე პონომარიოვის მიერ გამართულ თავშესაფარისა ძაღლებისათვისაო.

◆ ტფილისის გუბერნატორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს, რა დაადგინა არუთინას სევინოვის თხოვნის შესახებ; ის ითხოვდა პეტრე-პავლეს სასაფლაოს ახლოს აგურხანის გამართვის წესსა.

ჩვენებური ამბები

ხარაგაული. ბევრის ცდისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ხარაგაულის საზოგადოება ეღირსა უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნას. ამ სამკითხველოსთვის დაუთმია სახლი ერთს ადგილობრივს მოვაჭრეს, თაბუკაშვილს. მისსავე ქალს უკისრნია უსასყიდლოდ ბიბლიოთეკის თვალ-ყურის გდება და საქმის წარმოება. სამწუხაროდ, სამკითხველო ჯერ თითქმის ცარიელია და მასში მოიპოვება მხოლოდ „ცნობის ფურცლისა“ „Новое Обозрѣніе“ და „Тифлисскій Листокъ“-ის ფურცლები. ეს ავლა-დიდება შეადგენს მთელს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ამბობენ, ექვსი თუმანი ფული არის შეკრებილი ბიბლიოთეკის სახლის მოსაწყობადო და ვითომ ბიბლიოთეკის გამგეს ეს ფული ბანკში შეუტანია იმ მოსაზრებით, რომ მის სარგებლით ბიბლიოთეკის თანხას გავზრდიო და მოვაწყობო.

ხარაგაული ძრიელ დიდი საზოგადოებაა, შესდგება თითქმის სამასის კომლისაგან და და აქნობამდე-კი ვერ მოუწყეს-რიგებიათ ბიბლიოთეკის საქმე. აქაც, ვგონებ, ქართველური ზარმაცობა და დაუდევრობა მუშაობს! დროა ხარაგაულელებმა გამოიღვიძონ სალათის ძილისაგან და მიაქციონ ყურადღება როგორც სამკითხველოს, ისე თავიანთ ჩხერიმელის ხიდს, რომელიც პირველსავე წყალდიდობის დროს ჩაინგრევა, თუ ეხლავე არ შეკეთდა.

ხარაგაულელი.

კახეთი. აგვისტოს მიწურულებში გვეწვივნენ ექსკურსანტი მოწაფეები ბესარაბიის მეღვინეობის სასწავლებლიდამ: მარე, დარახველიძე და ვ. მჭედლიშვილი. ექსკურსანტებმა მოიარეს თითქმის ყველა ზვრები და მარნები. დაათვალიერეს აგრეთვე საუფლისწულო მამულები. მხოლოდ კარდანახში, შერემეტევის მამულის მოურავმა ავერკინმა, არ ვიცით, რა მიზეზით, კეთილ არ ინება და არ აჩვენა ზვარი და ღვინის სარდაფი.

ვანო.

ქიზიყი. აგვისტოს 23 ისეთი კოკისპირული თავსხმა იყო დილიდამ საღამომდის და საღამოდამ გათენებამდის, რომ აყეფებულმა ღვართქაფებმა ბევრგან დიდი ვნება-ზიანი მისცეს ქიზიყის სოფლებს, ვენახებს, კალოებს და სხვა-და-სხვა ჭირნახულს. „ხალხი სუ გაურჯულოვდა ეხლანდელი არ-გამოსაზდელი კინტოებისაგან და ცაც სამაგიეროს გვიხდის ცოდვილებს: ხან უდიერი გვალვა გვღუპავს, ხან საზარელი ნიაღვრებიო. წავიდა, დაიკარგა უწინდელი ნამუსი და ადამიანობა და დაიკარგა მაშინდელი დამშვიდებული ცა და ღრუბელიცაო“,—ჩივიან მოხუცნი და მწარე ამოოხვრით ბანს აძლევენ მეორენი: „აკი სახლისა და ჯიბის ბარაქაც ემაგიტო დაგვეკარგა სიღარიბისაგან თვალში ჩინ-გამოლეულებსაო“.

თელავი. ამ ექვსის წლის წინად თელავში დაარსდა „ქალთა ამხანაგობა“. ეს ამხანაგობა შესდგებოდა მხოლოდ ქალებისაგან. მიზანი ხსენებულ ამხანაგობისა ის იყო, რომ დაეარსებინათ სახელოსნო, ესწავლებინათ ღარიბ ქალებისთვის უფასოთ ხელ-საქმე. ამხანაგობა შესდგებოდა ოც და ათამდე წევრისაგან, რომელნიც იხდიდნენ წელიწადში სამ-სამს მანეთს. იმართებოდა კრებები ბ-ნ ი. ზარაფიშვილის თავმჯდომარეობით. საქმეს ყველანი პირველად ერთგულად მოეკიდნენ, ჰმართავდნენ წარმოდგენებს, კონცერტებს, საცეკვაო საღამოებს; საკმაო ფული შემოსდიოდათ, ამასთანავე სხვა-და-სხვა შემოწირულებანიც ემატებოდა. ამხანაგობის თავმჯდომარე ზარაფიშვილი და ერთი წევრთაგანი ს. კუხში წავიდნენ საჭირო მანქანების შესაძენად. მათი დაბრუნების შემდეგ დაიწყეს მუშაობა. უნდა მოგახსენოთ, საქმე კარგად მიდიოდა და სანახავად ბევრი მოდიოდა, ყველა თანაუგრძნობდა ამ საქმეს და ჰპირდებოდნენ დახმარებას, რითაც-კი შეეძლებოდათ. ასე გაიარა 2—3 წელიწადმა. წევრებმა მოსთხოვეს ბ-ნ ი. ზ—შვილს ამ 2—3 წლის ანგარიში, თუ რა არის თვითოეულს მანქანაში მიცემული, რა დაჯდა მოტანა, რა დაეხარჯა იმას წასვლა-მოსვლაში, ან რა აქვს ამხანაგობას შემოსავალი და გასავალი. ბ-ნმა ი. ა. ზ—შვილმა წარმოუდგინა დახარჯულის ჯამი. წევრები ამას არ დაჰყაბულდნენ, თხოულობდნენ დაწვრილებით ანგარიშს. იმან ის არ წარმოუდგინა და ერთს მშვენიერს დღეს დაანებეს სუყველა წევრებმა თავი. სახლი სახლის პატრონს ჩააბარეს, მანქანები და სხვა მოწყობილობა „კობლეს“.

კარგი იქნებოდა შეეკრიფნა ბ. ი. ა. ზ—შვილს წევრები, მოეხდინა კრება და გარდაეწყვიტათ, თუ რა უყონ ამ მანქანებს და იმ ფულს, რომელიც დარჩათ ნაღდი ამხანაკობის უთანხმოების შემდგომ. სასურველი იქნებოდა, გადაეცათ ეს ფული თელავის ბიბლიოთეკისათვის, რომელიც საჭიროებს მატერიალურ დახმარებას.

Z.

ეკატერინენფელდი (ბორჩ. მაზრა). ეს ორი კვირაა, რაც საქონლის ჭირი გაჩნდა და იმსხვერპლა რამდენიმე ასი თავი საქონელი. დღე ისე არ გავა, თითო ეზოდან ორი, ან სამი ძროხა არ გაათრიონ. პირუტყვთა მკურნალები უცრიან საქონელს ჭირს. ახალი ამბავი და შესანიშნავი ის არის, რომ ახალი მკურნალი დაუკითხავათ პატრონისა ჭირიანათ ცნობილს საქონელს აღარ ჰკლავს. თუ პატრონმა ნება არ მისცა კვლისა და პირუტყვი მოკვდა, მას ეკარგება უფლება მიიღოს ღირებული ფული. საკვირველია, ეს ასე რატომ არ არის მთაში (თრიალეთზე), სადაც გაანადგურეს საქონელი მკურნალთ? მოშავრის ხეობაზე ყველა სოფლებში საქონლის ჭირი მოდებულია. ეკატერინენფელდში ყველისა და ერბოს ფერმებმა შესწყვიტეს დროებით წარმოება. აქაური ქსენონი გადააქვთ, როგორც შევიტყეთ სარწმუნო წყაროებიდგან.

აკაურთა (ბორჩ. მაზრა). 18 აგვისტოს ადგილობრივმა მემამულემ გადაიხადა სასოფლო სადმრთო და აკაურთაში მცხოვრებთ დაურიგა სამ-სამი მანეთი საჩუქრად. სადმრთო იყო გარდახდილი იმის ნიშნად, რომ წლეულს სენატში საბოლოოდ მოიგო ზემოხსენებულმა მემამულემ საქმე ორბელიანთ მამულების შესახებ. ამ ამბავს აკაურთელი ქართველი ერი მხიარულად დაუხვდა, მაგრამ შეწუხდა მით, რომ ამ მებატონემ სომხურს წესზე ახლად გადაკეთებულს ქართველების ეკკლესიაში ტერტერას „ტერვოღორმია“ ამღერა. სამ-სამმა მანეთმა მაინც თავისი გაიტანა. საზოგადოდ, აქეთ მხარეს ღვინის მოსავალი მშვენიერია, პური მცირეა. ძალიან აცივდა და ერთი კვირაა, რაც წვიმს.

შუა-მთა. წელს ყველა საექსარხოსოს მღვდელმთავრებს მოუვიდათ უწმიდეს სინოდიდგან წინადადება, რომ შეადგინონ სია იმ წმიდანებისა, რომლების მოსახსენებლადაც არის განსაკუთრებული ღვთის-მსახურება. ამასთანავე სია სახელებისა, რომლებიც ჩვენში ხმარებაში არის. სია კიდეც შეადგინეს; მაგრამ კარგს ინებებს ჩვენი სამღვდელოება, რომ ყველამ გამოუცხადოს ის სახელები, რომელიც მათს მრევლშია ხმარებაში. ჩვენ გვყავს ისეთი წმიდანებიც, რომლებიც მივიწყებულია და არსად იხსენიება, მაგ. ქვაბთახევის მონასტრის წამებულნი. ლანგ-თემურმა საქართველო მოაოხრა, აიკლო, გაძარცვა მანგლისის ეკკლესია, კავთა და შემდეგ იქიდგან გადმოიარა კოშკის ყელის მთაზედ, დაჰხედა ზვიდგან ამ მონასტერს და იკითხა: „ეს რა არისო“. უთხრეს: „აქ ქართველი ბერები არიანო“. მაშინ თქვა: „აბა ერთი აქაც ჩავიდეთო“. ჩამოვიდნენ და მოადგნენ მონასტერს იმ დროს, როდესაც მამები წირვაზედ იდგნენ. გაძარცვეს ეკკლესია და თვით ბერებს უბრძანეს გამაჰმადიანება. ბევრი აწვალა იგინი: ხან ეჟვენები შეაბეს ყელზე და დასცინოდნენ. გარნა იგინი ეუბნებოდნენ მტარვალს: „დროებით დიდებისათვის საუკუნო დიდებას ვერ დავკარგავთო. გვაცალე, ჩვენი წესი შევასრულოთ და მერე, რაც გენებოს, აღასრულეო“, ეზიარნენ ყველანი და შემდეგ წირვისა ხუთასი ბერი შიგ ეკკლესიაში მოსწყვეს, რომელთა სისხლი და ქონი დღესაც აშკარად მოსჩანს იატაკზე, რომლის ხელის ხლება და მისი გაჭრა დღესაც აღკრძალულია მთავრობისაგან. ამის აღწერა მ. პ. საბინინსაც აქვს „საქართველოს სამოთხეში“ და თვით სურათიც მონასტრისა „საქართველოს დიდების“ ხატშია, როდესაც ცეცხლი უკიდია და ალი გუმბათის ფანჯრებში ამოდის. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს მათი ხსენება არც ერთს ეკკლესიაში არა სრულდება. არამც თუ სხვა ეკკლესიებში, არამედ თვით ამ ქვაბთახევის მონასტერშიაც არ არის დაწესებული განსაკუთრებული დღე მათის ხსენებისა.

მღვდელ-მონაზ. ტარასი.

ახალციხე. გული გვწყდება და ვწუხვართ, როდესაც ჩვენს გაზეთებში წავაწყდებით ხოლმე სომხურ ჟურნალ-გაზეთებიდგან ნარკვევს ჩვენისა და ჩვენის მოღვაწეების შესახებ ულოღიკო და შოვინიზმით გაჟღენთილ წერილებს. ასეთს ნიმუშს იძლევა დღეს „მშაკი“ ბ-ნ ღიუნის პირით, რომელიც გადმოთარგმნილია „ივერიის“ მე-178 №-ში და რომლის ავტორიც უსაბუთოდ ლანძღავს ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეებს. გაზ. „ივერიამ“ მეორე დღესვე დაბეჭდა ამ ახირებულ წერილის პასუხი, სადაც, სხვათა შორის, აი რას ვკითხულობთ: „სომხური ჟურნალი მურჭიც“ აკი დაიცინებოდა, ქართველებმა კვერი დაჰკრეს და ქართველ-კათოლიკობა გამოტყვრა, ახლა კიდევ კვერი დაჰკრეს და ქართველი გრიგორიანობა გამოატყვრინესო“ და სხვა.

ჩვენ, შეგნებული ქართველი კათოლიკენი, მოვალენი ვართ ვუპასუხოთ, რომ გამოტყვრენილი არა ვართ; კარგად გვესმის ჩვენი ისტორიული მიმდინარეობა და დიდის ზიზღით ვუყურებთ იმათ, ვინც ერთის კალმის მოსმით ჩვენს გასომხებას ჰლამის. „მშაკი“ თავის კატუნით ამბობს, ძმობა-ერთობა ვიქონიოთ სომხებმა და ქართველებმაო; „დაახლოება სარგებლობას არ მოიტანს, უკეთუ ჩვენთვის დღიურ საკვებ და ვარმად გავახადეთ საარქეოლოგო საკითხები, უკეთუ არ შევიგნებით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ეხლა სხვა ვითარებაში, რომ დღეს თავს გვაწვევს სერიოზული საეკონომიო საპოლიტიკო საკითხებიო“ და სხვა.

დიახ, ერთობა მაშინ იქნება, როდესაც თქვენ მოიშორებთ სარუხანისებურ, ღიუნისებურ და სადიმიანცისებურ აზრებს, როდესაც არ უარჰყოფთ კათოლიკე და გრიგორიან ქართველთა არსებობას (რასაკვირველია, უსაბუთოდ) და როდესაც ჩვენს ტურფა სამშობლოს არ გაასომხებთ. თორემ რა გამოვიდა, ვიღაც სარუხანმა მთელი ქართველი კათოლიკობა სომხებს მიაკერა და ერთი აურ-ზაური ასტეხა გაზ. „С.-Петербургскія Вѣдомости“-ს ფურცლებზე, ამაზე სომხთა ჟურნალ-გაზეთობამაც კვერი დაუკრა. ხოლო როცა ბ-ნმა ხახანაშვილმა ისტორიულ საბუთებისა და წყაროების ძალით გააცრუა სარუხანის მსჯელობა, იმავ გაზ. სამუშაებით, მაშინ უკანასკნელმა იმათი იმართლა თავი, რომ თავისს წერილში სათაურით „Еще о католикахъ Кавказа“ დაამტკიცა სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოების არსებობა კავკასიაში (ისიც ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში). ეხლა ბ-ნი ხახანაშვილი, როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, ჰკრებს სხვა-და-სხვა ისტორიულ წყაროებს ქართველ-გრიგორიანთა შესახებ, და აი, ამისათვის „მშაკმა“ „ქართველთა გამოჩენილი კატო-მოძულე და სომხი-ჭამია მეცნიერი“ უწოდა. როგორი გემოვნება გქონიათ, „მშაკო“! ვითომ ჩვენ, ქართველ-კათოლიკენიც სომხები ვიყვენით და ბ-ნ ხახანაშვილს შევუჭამნეთ, ე. ი. გადმოვექართველებინეთ (!). ეს კიდევ არაფერი, აქ აკაკი წერეთელი რაღა შუაშია, რომ იმასაც ასეთი ეპიტეტი უძღვენით? ეს ჩვენ კარგად ვიცით, რისთვის; აგრეთვე ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენ, ქართველ კათოლიკეებს, ისტორიულ მსვლელობის გამო, დღეს აღარა გვყავს საკუთარი სამღვდელოება, დღეს მათს მოვალეობას ასრულებენ რომისა და სომეხ-კათოლიკეთა მღვდლები; მაგრამ ამით ჩვენ იმედს არ ვჰკარგავთ. დეე, ჯერ-ჯერობით სომხურად ან ლათინურად იყოს წირვა-ლოცვა ჩვენს ეკკლესიებში, ჩვენ-კი ჩვენს ენაზე ვილოცავთ და ჩვენის ძვირფას სამშობლოსათვის ვიზრუნებთ. ამასთანავე ჩვენთა მოღვაწეთა სახელს არავის შევალახვინებთ.

„მშაკო“, ჯერ ძმობას გვიქადაგებ და იმავ წერილში ჩვენს მოღვაწეებს კატო-მოძულეებად უწოდებ... ასეთ მსჯელობით ჩვენთან ძმობას ვერ მოახერხებთ...

ქართველი-კათოლიკე ბ. ბ—ლი.

ფოთი. რაც დრო გადის, ბ-ნ ლავრენტი ტუღუშის ქართული სტამბის საქმე წინ მიდის და წარმატებას ეძლევა. ამ უკანასკნელს წლებს, სტამბის პატრონმა შეიძინა, თითქმის, ყველა ნაირი ქართული ასოები. ჩვეულებრივ ასოებს გარდა, ამოაჭრევინა მხედრული და ხუცური ყვავილიანი ასოებიც. ამ ჟამად ფოთის სტამბაში რამდენიმე ქართული წიგნი იბეჭდება. აქ დაბეჭდილი წიგნები სუფთად გამოდის.

ამ ჟამად აქ იბეჭდება შემდეგი წიგნები: 1) დორეთეს ცხოვრება, ანუ „კიბე ცად მყვანი“, XI საუკუნის ხელთნაწერი. ამ ვრცელს ხელთნაწერს ბეჭდავენ ათონის მთის ბერები. 2) სიგელ-გუჯრები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ.

უკვე დაიბეჭდა:

1) სასულიერო თხრობანი მღვდელ მონაზონ ალექსისა, უსასყიდლო გამოცემა მოყვასთა დასარიგებლად სენაკის ვაჭრის იოსებ ფიფიასი. წიგნი 110 გვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზე.
2) მოძღვრება დაყუდებულის მღვდელ-მონაზონ ალექსისა, გამოცემა თეკლათის დედათ მონასტრისა.
3) სასულიერო წერილნი და მსჯელობანი დაყუდებულის მღვდელ-მონაზონ ალექსისა.
4) ბენია, ანუ ხუმარა ჩვენის მეფეების.

ზ—ია.

უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც მკითხველებმა უწყიან, საკონგრეგაციო დაწესებულებათა დახურვამ ბევრი უსიამოვნობა გამოიწვია პარიჟსა და ბრეტანში. ამის გამო პარიჟელ სოციალისტთა და რესპუბლიკანელთა რამოდენსამე ჯგუფს აზრად მოჰსვლია სეკდემბრის 8-ს კიდევ განიმეორონ მანიფესტაცია „რესპუბ-

ფელეტონი

შინაურთა შორის.

ტფილისელთა საზაფხულო დროს გატარება.—ორი სხირტლაძე.—ერთი დაროჟნოვი და ერთიც პროტოკოლი.

ეს ზაფხულიც ჩავატარეთ ტფილისელებმა შემდეგ ჩვეულებრივის გაჭირვებისა. სიცხისაგან გაბრუებულნი, დღისით სახლში ვემალებოდით შეუბრალებელს მზესა და მხოლოდ საღამოობით გამოვყოფდით ხოლმე თავს ჰაერის ჩასაყლაპად. გავცვითეთ გზები მუშტაიდისა, ნემენცების ბაღისა, ვეტცელისა, ბელვიუსი, ბანკის ბაღისა, მაგრამ სიოს უგემებელნი ვბრუნდებოდით გათენებისას ჩვენ ჩვენს ბინაზედ მაინც სულშეხუთულნი. გასართობები რომ მაინც ყოფილიყო სადმე, კიდევ როგორმე დავივიწყებდით ჩვენს ტანჯულ ყოფას, მაგრამ საუბედუროდ ყველგან გვესმოდა მხოლოდ გაცვეთილი ჰყიტინი მუსიკისა. წარმოიდგინეთ, რომ თვით მდიდარმა „კრუჟოკმაც“-კი ვერ მოახერხა რიგიანი რამ გასართობი თავის რიცხვ-მრავალ სამწყსოსთვის და აბა ამ გარუმბულ „სობრანიეს“ ხომ ვინ რას მოსთხოვდა. ყველგან მხოლოდ მუსიკა აჰყიტინებდა და მეტი არაფერი.

მხოლოდ ზაფხულის მიწურულებში შევეცოდენით ზოგიერთ რესტორანის პატრონებს და მუსიკასთან ერთად ცოტა რამ სიმღერაც მოგვაწოდეს. გორგიჯანოვმა ტყუილად-კი არ დაარქვა თავის რესტორანს სახელი „პროგრესსი“. ამ მყვირალა სახელის გასამართლებლად მოიწვია იტალიელი მემუსიკენი პალადინოსი და მოაწყდა კიდეც აუარებელი ხალხი, რადგან მუსიკის დაკვრას მოსდევდა იტალიური სიმღერები. დაცალიერდა სხვა რესტორანები, მათ პატრონებს დარჩათ მხოლოდ ბუზების თვლა, ნაცვლად მუშტრის თვლისა და ფულის ანგარიშისა.

აბა თუ სიმღერებიაო—დაიკრა გულზე ხელი ნემენცების სათაყვანებელმა ვეტცელმა—მე ვიცი, რა დღესაც დავაყენებ გორგიჯანოვსაო და მართლაც ერთ მშვენიერ მთვარიან საღამოს ვეტცელის ბაღში გაისმა ველური ხმა რუმინთა დაკვრა-სიმღერისა. ბევრნი გავექანეთ ვეტცელისაკენ, მაგრამ გორგიჯანოვს ნირიც აც შეუხრია: იქ ხალხი ბუზივით ირეოდა მთელი ზაფხული, თუმცა-კი საკმარისად მოსაწყენი შეიქმნა სულ ერთი და იგივე ხმები მუსიკისა და ორის მომღერალისა.

აშკარაა, რომ ტფილისს უჭირს რიგიანი გასართობი ადგილები. ცნობილმა რობიმ ასეთ ადგილად ამოარჩია მთაწმინდის მწვერვალი, სადაც ფუნიკულერით უნდა ვეზიდნეთ საქეიფოდ, წარმოდგენების საყურებლად, მუსიკისა და სიმღერების მოსასმენად. მისი განზრახვა რთული და ძნელად შესასრულებელი გამოდგა. გვიკვირს, რად გამოეკიდა ამისთანა სახიფათო საქმეს, როდესაც მისი რკინის გზა ეზიდება ამოდენა მგზავრს მუშტაიდში, რომელიც ჯერ-ჯერობით საუკეთესო ბაღია დროს გასატარებლად, თანაც ქალაქს ზედ აკრავს. იმას რომ მაღლა ვარსკვლავები არ ეთვალა და დედამიწაზედ დაეხედნა, უნდა მაგრა ჩაეჭიდნა მუშტაიდისთვის ხელი და შესდგომოდა მისს მოწყეს-რიგებას.

ეს უშველებელი ბაღი, გაშენებული მტკვრის პირად, სწორე ვაკეზედ, საუცხოვო თავ-შესაფარი შეიქმნებოდა დაღლილ-გალახულ მოქალაქისთვის, უკეთუ აქ გაჰმართავდნენ შესაფერ გასართობებს. ამით ცალკე გაათკეცებდნენ შემოსავალს ცხენის რკინი-გზისას, ცალკეც მიაჩვევდნენ ხალხს უფრო განათლებულ დროს გატარებას, თითონ ხომ ფულით აიმსებოდნენ. ეხლა-კი ეს ამოდენა ხალხი დარჩენილია გორგიჯანოვის ამარა. აბა, რა უნდა მოსთხოვო კაცს, რომელიც ავჭალას არ გასცილებია და არ უნახავს დაწინაურებული ქალაქები, სადაც მცოდნე რესტორატორები ათიათას თუმნობითა ჰხარჯავენ ფულს, რომ ხალხს მიაწოდონ მარგებელი გასართობი და შემასვენებელი დროს გატარება. „პროგრესსის“ პატრონისათვის იტალიელთა მოწვევაც დიდი გაბედულობა იყო. სხვები-კი არავინა ჰკიდებს ხელს მუშტაიდს, მისს განათებას არავინა ზრუნავს, გზებსა და ბილიკებს არ ასწორებენ და აბა, იმდენი რა სიამოვნება უნდა ნახოთ ამ ბაღში! იქ მიდიხართ მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესი ადგილი არ გეგულებათ, და ჰაერის ჩაყლაპვა-კი აუცილებელია.

⁂

მაგრამ ყველა რესტორატორებს გაუსწრეს ძმებმა სხირტლაძეებმა. გიორგიმ ბანკის ბაღს ჩაჰკიდა ხელი და სოფრონმა ყორღანოვისას „ბელვიუს“ სახელით. ერთი იზიდავს ქალაქის შუაგულ მცხოვრებლებს, მეორე—განაპირისას. ერთის მოედანიც ფართოა და მეორისაც, ამიტომ ისინი ერთმანეთს ვერ აზარალებენ და არც კონკურენცია ექნებათ ურთიერთთა შორის, როგორც შეჰფერის კაი ძმობას. ორნივ ერთ საქმეს ჩაჰკირკიტებენ და ორთავ აუღიათ ალღო ეხლანდელ დროის მოთხოვნილებისა და, ხომ მოგეხსენებათ, რომ

მამლის საჯდომში თუ იცის,
მეტი რა უნდა მელასა!

იმათ ორთავ მიუგნიათ მამლის საჯდომისათვის და მიმხვდარან, რომ დღეს მარტო კაისმა-ჭამა აღარ აკმაყოფილებს ქალაქელ კაცს. გიორგი სხირტლაძემ-კი უფრო ადრე იგრძნო ახალი მოთხოვნილება და თავის საჭმელებს დაურთო მუსიკა და სიმღერები, მერე თანდათან წაუმატა გასართობები და ბოლოს ხომ უწმაწურ შანსონეტკებამდისაც-კი მიაღწია,—მაგრამ აქ დროზედ შეჩერდა. მართალია, უწმაწურობა ბევრისათვის ძრიელ მიმზიდავი რამ არის, მაგრამ ბევრიც ერიდება, მეტადრე ჩვენებური ცოლშვილიანი კაცი. ამიტომაც ეხლა აფიშების ბოძებზე ყველგან ჰკითხულობთ დირექტორ გ. ნ. სხირტლაძის განცხადებას, სადაც შეგხვდებათ სახელები თავ-დაჭერილ მომღერალ ქალებისა და რიგიან კაცებისა, რომელთა მოსმენით ადამიანს შეუძლიან მხიარულად გაატაროს რამდენიმე საათი და გადიყაროს გულიდამ დღიური დარდი და ვარამი. ამის დირექციის საღამოებზედ გაიგონებთ სასიამოვნო სიმღერებს და კუპლეტებს; ჰნახავთ სცენებს, ცირკის სანახავებს, ლეკურ ცეკვას, კინტოურს, უზუნდარას; მოისმენთ ევროპიულ მუსიკასა და ჩვენებურ დუდუკს.

ამ მხრივ ჯერ სრულებით უსუსურია სოფრონ სხირტლაძე. იმას ეგონა, რაკი ბაღი მაღლობ ადგილზე ავიღე, მეტი აღარაფერია საჭირო, მუშტარს ჯოხითაც ვერ მოვიშორებო, ოღონდ კაი მუსიკალური ორკესტრი ვიყოლიოო. მართლაც, ერთი-ორი კვირა ხალხი ბლომად მიაწყდა ახალ ბაღს, მერე-კი ისე მოსწყინდათ, რომ მუშტარი სანთლით საძებნელი შეიქმნა. მაშინ-კი ჩაფიქრდა ჩვენი სოფრონი. დიდი-ხნის ფიქრი არ მოუნდა. ძმის მაგალითი თვალ-წინ ჰქონდა. შიკრიკი შიკრიკზე მოედვა რუსეთის ქალაქებს—აბა, ვინ იცით კაი სიმღერა და ცეკვა, გვეწვიეთ ბელვიუში და პატივისცემაც ჩვენ მოგვთხოვეთო. ზაფხულის მიწურულები იყო, რომ მოეშველნენ სოფრონს მხსნელნი და კიდევაც გამოაცოცხლეს მიმკვდარებული ბელვიუ. თუმცა-კი ჯერ ბევრი უკლია სოფრონს გიორგიმდე წარმოდგენათა რეპერტუარის მხრივ, რადგან ესუკანასკნელი უკვე დახელოვნებული დირექტორია და მისმა დირექციამ თურმე სახელიც-კი გაიკეთა უცოელ არტისტთა შორის; მაგრამ ბელვიუს თავისი ღირსება მაინც ბევრი აქვს. ადგილ მდებარეობა შეუდარებელია და თანაც სიფართოვე. ამ ღირსებას რომ რეპერტუარიც შესაფერად უწყობდეს ხელს, მაშინ ბელვიუს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა.

რაც უნდა იყოს, მიმავალმა ზაფხულმა კაი გამოცდილება შესძინა ორთავე სხირტლაძეს და ესენიც ეცდებიან, რომ კვლავ უფრო მომეტებული ასიამოვნონ ქალაქელებს, რადგან ამ უკანასკნელთა სიამოვნებაზედ ჰკიდია თვით იმათი კეთილდღეობა. მაგრამ ამათვის რასაჭიროა ჩვენი დარიგება, თვით უფრო კარგად იციან თავიანთი საქმე და მათზედ ეხლა ყველა იტყვის:

ორნი არიან,
ტოლნი არიან,
დარბაზს ჩადიან,
ჩაიმღერიან.

და მსმენელნიც სულ სიმღერის გუნებაზედ მოჰყავთ ჭიქამდის, რომ ეხლა აგარაკებიდამ ჩამოსული ხალხი აქ დარჩენილებს შემოგვნატრიან: ნეტა თქვენ, რომ ასე მხიარულებით გიტარებიათ დრო ტფილისშიო, იქ-კი ე. ი. აგარაკებში, ძალიან „სკუჩნაობა“ იყოვო. ამიტომ ცდილობენ დაკარგული სიამოვნება ერთი-ორად აინაზღაურონ და მოედვნენ ამ სხირტლაძეებს, მუშტაიდს, ვეტცელს და მეტადრე „კრუჟოკს“, რომ მეორე ზაფხულს ყველა ეს რესტორანები აქ დამრჩომთ მოგვახვიონ კვლავ თავსა და თვითონ სიამოვნებით გაექანნენ აგარაკებისკენ „სასკუჩნაოთ“.

კაცები თუ რესტორანებს ეტანებოდნენ, ქალები კიდე დაროჟნოვის მაღაზიას. ყველა საქმეს თავისი ოსტატი უნდა ჰყავდეს. ტფილისში, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მაღაზიებია, მაგრამ რასაც დაროჟნოვი ერთ დღეს ივაჭრებს, სხვა მთელ წელიწადს ვერ მოახერხებს. მაშ, როდესაც სხვა ვაჭრები ბუ-

ლიკის დღესასწაულისა“, რომელიც ამ სამის წლის წინად მოხდა. მოსამზადებელ კრებაზედ, რომელსაც 25 სხვა-და-სხვა ჯგუფი დაესწრო, არჩეულ იქმნა საორგანიზაციო კომიტეტი.

იტალია. შაბათს იმოლას მოხდა კრება სოციალისტთა დასის კონგრესისა, რომელსაც 1,000-მდე დელეგატი დაესწრო. საპოლიტიკო წრეები მოუთმენლად ელოდებიან ამ კონგრესის შედეგს, რადგან, სხვათა შორის, კრებაზედ უნდა გამოირკვეს, თუ რა ტაქტიკას დაადგება პარლამენტში სოციალისტთა დასი, რა დამოკიდებულება ექნება ცანარდელის სამინისტროსთან. როგორც ვიცით, ამ დასში ორი სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს: ერთი მათგანი, რომლის დეპუტატი ტურატია, შეთანხმება-მორიგების მომხრეა, მეორე-კი პირიქით გადაჭრით უარ-ჰყოფს ყოველგვარ შეთანხმებას; ამ უკანასკნელთ მეთაურობს ცნობილი დელეგატი ენრიკო ფერრი.

ოსმალეთი. მცირე აზიაში—როგორც სტამბოლიდგან „Giornale d' Italia“—ატყობინებენ—გამოჩენილა ახალი რელიგიური სექტა.

ამ სექტის მიმდევარნი თაყვანსა სცემენ ერთსა და იმავე დროს იესოსაც და მაჰმადსაც, რადგან ორივე უდიდეს ბრძენად მიაჩნიათ. ოსმალეთის მთავრობას სასტიკი მიწერილობა გაუგზავნია მცირე აზიის მოხელეთათვის, რათა კვალ და კვალ მიჰყვნენ ამ სექტას და როგორმე ხელი შეუშალონ მისს გავრცელებას. ახალს მოძღვრებას, რომელიც ერთმანერთს უახლოვებს სახარებასა და ყურანს, თურმე მრავალი მიმდევარი ჰყავს მცირე აზიაში, განსაკუთრებით დამასკში.

— გაზეთ „ტრაპიდრომოს“-ის სიტყვით, სულ ყველა ბერძნების ეკკლესიაში წაუკითხავთ პატრიარქ იოაკიმ მე-III-ის ცირკულიარული მიწერილობა, რომელშიაც იგი ურჩევს თავისს სამწყსოს, ნუ აბარებთ თქვენს შვილებს კათოლიკე იეზუიტთა სკოლებში, სადაც ბავშვები ჰკარგავენ მართლმადიდებელ ეკკლესიისადმი ერთგულებას და თავის ერისადმი სიყვარულსაო.

სპარსეთი. გაზეთი „მალიუმატი“ რჩევას აძლევს შაჰს, თუ როგორ უნდა ეჭიროს თავი რუსეთისა და ინგლისის შესახებ.

„რადგან მუსულმანთა სახელმწიფოები ერთმანერთს იყვნენ დაშორებულნი და თავისთავადაც გაბნეულნი აქა-იქ, ეს ხალხები დასუსტდნენ და ქრისტიანებს ჩაუვარდნენ ხელში. ეჭვს გარეშეა, რომ ქრისტიანებს ზნეობრივი უპირატესობა-კი არა ჰქონიათ მართლმორწმუნეებზედ, არამედ ტლანქი ფიზიკური ძალა და ცბიერი პოლიტიკა. მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, დაჩაგრულს ისლამს ჯერ ვერავინ შესწამებს ზნე-დაცემულობას, ან ქრისტიანთაგან საზიზღარ ჩვეულებათა გადაღებას; ქრისტიანებს-კი თავი მოაქვთ ამ უგვან თვისებებით. ეს განათლება და განვითარებააო. წინასწარმეტყველის (მაჰმადის) მოძღვრებამ ცხადად დაამტკიცა თავისი შეურყევლობა; ვერავითარმა ძალამ ვერ შეუცვალა მას ნირი. დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მომავალი ისლამისაა: იგი ადვილად გარდაიცვლის გახრწნილების გზაზედ მდგომს ქრისტეანთა ცივილიზაციას და სწორედ ისე გაბატონდება ქვეყნიერობაზედ, როგორც მას ალლაჰის შთაგონებით უწინასწარმეტყველა უდიდესმა გენიოსმა. ეს დიადი მომავალი ყველაზედ უკეთ ჩვენმა შეუდარებელმა ფადიშაჰმა, აბდულ-ჰამიდ-ხანმა, გაითვალისწინა და კიდევაც მიტომ ადგია მედგრად შეურყეველს გზას.

„ოსმალეთის იმპერიის შემდეგ სპარსეთი მეორე დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოა მუსლემანთა დედამიწის ზურგზედ. მრავალი ჭირ-ვარამი გადაჰხედია დასაბამიდგანვე ამ უძველეს მუსლემანთა აკვანს—ირანსა—მაგრამ ყოველივე გადივლო თავსა და დღესაც ისე შეურყევლადა სდგას, ვითარცა ნაძვი ლიბანისა ტავრის მწვერვალზედ. სულიერი ძლიერება ირანის ხალხთა გამოიხატა იმით, რომ მათ შეჰქმნეს დამოუკიდებელი კულტურა, რომელსაც თვით ევროპიელი მეცნიერებიც-კი თაყვანსა სცემენ. უკანასკნელ ხანებში ამ კულტურის განვითარებას ხელს უშლიდნენ გარეშე მტერნი, რომელთაც ჰსურდათ ირანის დაჩაგვრა და დაქვეითება. მიუხედავად ამისა სპარსელთა ფხიზელმა და გამჭრიახმა გონებამ შესძლო ამ გაჭირვებიდგან თავის დახწევა და არავის დაარღვევინა ირანის მთლიანობა. ეხლა სპარსეთი ორ ცეცხლ შუაა, და უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთს განსაცდელში არაოდეს არა ყოფილა იგი. თანამედროვე გაუმჯობესებულ მიმოსვლის გამო ირანი ღიაა ყოველის კუთხით მტრისათვის; ორის მხრივ უკვე მტერი უდგია გზათ; შინაური საქმეებიც ვერაა გაწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გვიცარავს ხელსა. შაჰი მუზაფერ-ედდინი მეტად ორჭოფ მდგომარეობაშია: ან ერთ-ერთს მტერს უნდა მიემხროს, ან უნდა შეიარაღდეს და გაუმკლავდეს მას. ჩვენ რა ნება გვაქვს რაიმე რჩევა მივსცეთ სახელმწიფოს წარჩინებულ გვამსა; მხოლოდ ჩვენის აზრით უმჯობესი იქნება მივყვეთ ჩვენის ბრძენის ფადი-შაჰის პოლიტიკას, ე. ი. ყველას მოვეფეროთ, მაგრამ ჩვენი ინტერესები-კი არ დავივიწყოთ. ორის ერთმანერთის მეტოქე მტერთა შორის უფრო საშიში ჩრდილოელია (რუსეთი). თუ მან ერთხელვე ჩაბღუჯა თავისი კლანჭები სუსტ მოპირდაპირეს, შეუბრალებლად დაუხშობს მას სულსა და აზრს, გამოაფიტებს მას ზნეობრივად და ფიზიკურად. ინგლისი-კი, თუმცა სარგებლობს დაჩაგრულთა შრომა-ქონებით, მაგრამ არა სთრგუნავს მათ სულიერად; თვითაც სცხოვრობს და სხვასაც აცხოვრებს. თეირანში კარგად შეიგნეს ეს დიდი განსხვავება ამ ორ მტერთა შორის, და კიდევაც მიტომ ეკიდებიან მეტის სიფრთხილით უფრო საშიშ მტერს. ამასთანავე ჩვენს თანამორწმუნეთ უნდა ახსოვდეთ, რომ საჭიროა მათთვის სულიერად და ფიზიკურად განახლება; ამისათვის-კი უნდა ფართოდ გაეღოს კარი ოსმალეთის სამხედრო ორგანიზატორთა და დამყარდეს ამ ორ სახელმწიფოთა შორის მეტი თანხმობა და პატივისცემა. როდესაც რკინის გზის გასაყვანად კონცესიას ვაძლევთ ვისმე, ან სხვა რაიმე საფინანსო საქმეებსა, უპირატესობა ყოველთვის ინგლისს უნდა მივსცეთ. მათ მიერ გაყვანილი რკინის გზები მხოლოდ საეკონომიო ინტერესებს ემსახურება, რუსეთისა-კი—უფრო სტრატეგიულს“.

სამხრეთ-აფრიკა. „Daily Exspress“-ს სამხრეთ-აფრიკიდგან მიუღია ცნობა, რომ სვაზილანდის მცხოვრებთა მდგომარეობა კარგს არას უქადის ინგლისის მთავრობასაო.

„სვაზილანდის მეთაურები დიდი წინააღმდეგნი არიან, რომ მათი ქვეყანა ინგლისს შეუერთდეს; იგინი აცხადებენ, ჩვენ მხოლოდ ბურებს შევფიცეთ ერთგულობაზედ და არა ინგლისელებსაო. ზოგნი-კი იმასაც ამბობენ, ჩვენი ქვეყანა მუდამ თავისუფალი იყო და არავის დაუპყრია იგი ოდესმეო.

ომიანობის დროს სვაზებს არავითარი მონაწილეობა ბრძოლაში არ მიუღიათ და ამიტომაც აცხადებენ, რომ ჩვენი ქვეყნის მისაკუთრება ინგლისის მიერ წრეს გადასული უსამართლობაა. ყველანი საუცხოვოდ არიან შეიარაღებული და საფიქრებელია მათი აჯანყება. ინგლისის მთავრობას განუზრახავს სამხედრო დემონსტრაცია მოახდინოს სვაზილანდში, რათა ამით აგრძნობინოს მათ თავისი ძლიერება და თან და თან შეაჩვიოს იმ აზრს, რომ მათი ქვეყანა სამუდამოდ ინგლისის სამფლობელოდ დარჩება.

თეატრი და ხელოვნება

თელავი. ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, ქალაქის სცენის მოყვარეებმა ი. კაკაბაძის გამგეობით გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს, „ფული და ხარისხი“ კომ. 3 მოქ. აზიანისა და „და-ძმა“ პირველი სურათი 5 მოქმედებისა. პირველი პიესა გაიმეორეს ამ ერთ კვირაში.

ბიბლიოგრაფია

ბ-ნი მ. ზარიძე არ იშლის ქართულ წიგნაკების ბეჭდვას. ამ ბოლოს დროს გამოსცა შემდეგი წიგნები: 1) „ქალვაჟის სამიჯნურო“ 32 გვ. ფასი 10 კაპ. წიგნში მოთავსებულია ბევრი უწმაწური ლექსები. 2) „სალხინო თაიგული“ 32 გვ. ფასი 10 კაპ. ესაც ბ-ნ ზარიძესებური გამოცემა არის. 3) „თაიგული“ მიწერ-მოწერის დამატებით და ანტონ ძნელაძის ლექსით, მეათე გამოცემა, შედგენილი მ. ახპატელოვისაგან. აქამდის ამ გზას ადგნენ: ახპატელოვი, ზარგეროვი, აივაზოვი და სხვანი, ახლა ამათვე მიჰმატებია ბ-ნი მ. ზარიძეც.

—

„Труды лабораторіи при сакарскомъ питомникѣ американскихъ лозъ“.

საქარას ამერიკის ვაზის სანერგეში 1998 წლის განმავლობაში 400-ზედ მეტი მოსწავლე ყოფილა; გარდა ადგილობრივ მევენახეებისა სანერგეში სწავლობდნენ: 15 კაცი ინსტრუქტორი კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა, 13 სამინისტრო სკოლის მასწავლებელი და ტფილისის საბაღოსნო სკოლის უფროსის კლასის შეგირდები. ვაზის მყნობის გამოცდაში მონაწილეობას იღებდნენ 30 კაცი; მხოლოდ ჯილდოს ეღირსნენ შორაპნის მაზრის გლეხები, სოფ. საქარადგან, ვიქტორა და მიხეილ ნებიერიძეები. 1898 წელს სანერგეში მიუმართავთ ამერიკის ვაზისათვის 778 კაცს 188 830 ნამყენის ვაზის გასატანათ და 369,666, რქის საყიდლად. საუბედუროდ სანერგეს გამგეობამ დააკმაყოფილა მხოლოდ 592 კაცი, რომელთაც წაიღეს 38,163 ამერიკის ვაზი, უმყნობი 1914 და 3,500 რქა. გარდა ამისა სანერგეს უფასოდ დაურიგებია 13 სკოლისათვის 6100 რქა. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ნამყენი ვაზები ათასი იყიდებოდა 50 მან. უმყნობი 12 მან. 50 კ. რომ შევადაროთ ყველა წლიური მოთხოვნილება ამერიკის ვაზისა წარსულ წლებთან, უნდა ვსთქვათ, რომ მთხოვნელთა რიცხვი ყოველ წელს მატულობს.

1898 წელს ამერიკის ვაზის ჯიში გავრცელებული იყო 48 სოფელს შორაპნის მაზრაში და 38 ქუთაისისაში. 1900 წელს ამერიკის ვაზი გავრცელდა 84 სოფელს შორაპნის მაზრაში, 53 ქუთაისისაში, 11 სენაკისაში, 9 ოზურგეთისაში, 2 რაჭაში, 3 ლეჩხუმისაში და ზუგდიდისაში.

საქარის სანერგეში ამ წლის დამდეგს იქმნა დაარსებული კურსები. რადგანაც ამ კურსებზედ შესვლის მსურველნი ბევრნი იყვნენ, ამიტომ დანიშნული იყო კონკურსი რუსული ენის ცოდნასა და წერა-კითხვაში. სულ მიიღეს 9 აზნაურთა წოდების, 1—სასულიერო და 10—გლეხ-კაცი; ამათში რვას გათავებინა ორ-კლასიანი სასწავლებელი, ერთ-კლასიანი—5, სამრევლო სკოლა—2 და 5-ს ესწავლა სხვა-და-სხვა ორ და ერთ-კლასიან სასწავლებელში, ხოლო კურსი არ დაემთავრებინათ. მათში 3—15 წლისა იყო, 6—16 წლ., 6—17 წლ., 2—19 წლ., 2—20 წლ. და ერთიც 27 წლისა.

მასწავლებლებად კურსებზედ ითვლებოდნენ: ვენახის და ვაზის მოვლისათვის—სტაროსელსკი; ხილეულობისა—მებაღე ამ სანერგესი ჩივაძე, პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა იგივე ჩივაძე., მცენარეულობის ანატომიას და ფიზიოლოგიას ასწავლიდა ლოლუაშვილი; მავნებელ მწერების აღწერას ბ-ნი ტეხი; ბაღის გეომეტრიას კალინინი, რუსულ ენას—გორაევისა და აბრეშუმეულობას—გორაევი.

საზრდოთ მოსწავლეებს მიეცათ ზამთრის და ზაფხულის ტანისამოსი.

ამ მოსწავლეთაგან ეგზამენი დაიჭირა 14 კაცმა; ამათში 12 იკისრა სხვა-და-სხვა მამულებში მუშაობა, მხოლოდ ორი დაბრუნდა თავისს მამულში. წლის განმავლობაში 7 კაცი დაბრუნდა საკუთარ მამულში, ორი დანარჩენთაგანი შევიდა სამსახურში წინანდლის საუფლისწულო მამულში.

ი. კ.

წერილები
რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

დიდად გვასიამოვნა გაზ. „ივერიის“ № 184 ში დაბეჭდილმა მეთაურმა. დიახ, თუ გვინდა რომ კანონიერი და ადამიანური ვაჭრობა გვქონდეს და ვაჭრობა გაძლიერდეს ჩვენში, უსათუოდ შესაფერი სასწავლებლები უნდა დაარსდეს ჩვენს დაბა-სოფლებში. უამისოდ, თუნდ ბევრი გამანათლებელი ვაჭრები გვყავდეს, მაინც არა გვეშველება-რა, ჩვენებური გაუნათლებელი ვაჭარი ისეთივე იქნება, როგორც აწინდელი ჩვენი მძარცველი უცხო თესლის ჩარჩ-ვაჭარი. ახლაც გვყავს ვაჭრები, განა იგინი მარტო მატყუებისათვის არიან გაჩენილნი. ჩვენებურს ვაჭარს სინდისიერი ვაჭრობა სირცხვილად მიაჩნია. ვაჭარს იმას ეძახიან და ტაშსაც იმას უკრავენ, ვინც ხელოვნურად მოატყუებს კაცს. სამართლიანი ვაჭრობა და კანონიერი მოგება აქ არ სუფევს. ვინც კანონიერად ვაჭრობს, იმას ტუტუცს ეძახიან. ვინც მგელივით არ უყურებს მეზობელს, იმას ტუტუც ვრაცუნათ სთვლიან.

საჭირო სკოლა ყველა ამას აგვაცდენს, რიგიანი განათლება ჩვენც ჭკუას გვასწავლის და ვაჭრობის ხერხს და უნარსაც. დღევანდელს ვაჭარსკი არა აქვს განვითარებული გონება და მას ვერ დაუჯერებ, რომ კანონიერ ვაჭრობითაც შეიძლება დიდი საქმე აკეთო. დღეს ჩვენ არ ვიცით არც უქმე, არც კვირა, არც მოსვენება. ჩვენის შეუგნებლობით და უდიერის შრომით დიდი ნაწილი ვაჭრებისა სნეულდება და უდროვოდ ესალმება წუთი-სოფელს...

ქართველი ვაჭარი.

II

21 აგვისტოს საჩხერის იაფ-ფასიან სამკითხველოს წევრთა კრებამ კნეინა ნინო ალექსანდრეს ასულის წერეთლის თავმჯდომარეობით მოისმინა ამ სამკითხველოს 1899, 1900 და 1901 წლების შემდეგი ანგარიში:

სამკითხველოს, წევრთა გარდა, დღიური მკითხველი შემოსულა სამკითხველოში:

1899 წელს სულ 1300 კაცი.
1900 — — 1129 —
1901 — — 999 —

წიგნები გაუტანიათ სამკითხველოდგან:

1899 წელში 122 ქრ. 169 რუს.
1900 — 67 — 87 —
1901 — 44 — 87 —

ამ სამის წლის განმავლობაში შემოჰსვლია სამკითხველოს სხვა-და-სხვა წყაროდგან 458 მანეთი და 9 კაპ., დახარჯვია 430 მან. და 51 კაპ.

კრებამ, დაამტკიცა-რა ეს ანგარიში, დაადგინა უმორჩილესი მადლობა გამოეცხადოთ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით: თალიკო მაჭავარიანისას, რომელმაც შემოსწირა სამკითხველოს მის მიერ გამართულ სადამოზე შემოსული 42 მან. და 30 კაპ., ბარბარე ივანეს ასულს აბდუშელიშვილს, რომელმაც ხელის მოწერით შეუკრიბა სამკითხველოს 13 მანეთი და 90 კაპ., ევა სიმონის ასულს მაჭავარიანისას—7 მან. და 30 კაპ., ნიკოლოზ გრიგორის ძეს მაჭავარიანს—5 მან. და 50 კაპ., თამარ დიმიტრის ასულს წერეთლს—7 მან., ბაგრატ ნიკოლოზის ძეს ქავთარაძეს—6 მან. და 48 კაპ., თავ. ალექსანდრე დიმიტრის ძეს წერეთელს და გიორგი ივანეს ძეს გაფრინდაშვილს, რომელთაც შემოსწირეს სამკითხველოს 10 მან., გიორგი დავითის ძეს მხეიძეს,—3 მანეთი, ისაკ ანტონის ძეს გენცმანს,—2 მანეთი, ფარნაოზ

ზებს ძლივს იგერიებენ და ნახევარ სიცოცხლეს თვლემაში ატარებენ, დაროჟნოვი გართულია ჩიზილ-პიპილა რეკლამის დამზადებით. აგერ აგვისტოს ნახევარში გაზეთების პირველ გვერდზედ გამოიჭიმა განცხადება დაროჟნოვისა და დამტარებლებიც გამვლელ-გამომვლელს აჩეჩებენ ხელში იმავე განცხადებებს ცალკე დაბეჭდილს. სხვის რეკლამებს რომ ზედაც არ შეჰხედონ, დაროჟნოვისას გულგრილად ვერ ჩაუვლიან შორიახლო და ქუჩებშივე კითხულობენ, რომ ახლა შინ წაუკითხონ თავიანთ ქმრებსა თუ მამებს. მერე რამდენის ოჯახურის სცენის მოწმეა ეს რეკლამა, რამდენი ცრემლი გამოუწვევია მას გასათხოვარის ქალისა თუ ახალგაზდა ცოლისა, რომელთაც მამა-კაცნი უარს ეუბნებიან—ეხლა არა გვაქვს ფული და ნურცა გვთხოვთ სავაჭროთაო. ამ დალოცვილ ქალებსაც სწორეთ მაშინ მოუნდებათ ვაჭრობა, როცა დაროჟნოვის განცხადებას წაიკითხავენ. წინათვე რომ ამზადებდნენ სახლობას იმ დღისთვის, როდესაც დაროჟნოვის „რასპროდაჟა“ დაიწყება, კიდევ მოახერხებდა რასმე კაცი, გადასდებდა წვრილ-წვრილად „შავის დღისათვის“, ე. ი. დაროჟნოვის „რასპროდაჟისთვის„; თუ არა და მოგადგებიან ერთბაშად—საკაბეც ეხლა მოუნდებათ, ჩით-მერდინიც, სალფეტკებიც, ხელსახოცებიც, საბნებიც, ხელსახვევებიც, პირსახოცებიც და ათასი კიდევ სხვა დარდუბალა. ცხრამეტ აგვისტოს დაიწყება „რასპროდაჟა“ და ოც და ოთხში გათავდებაო. კიდევ კარგია, რომ ექვსი დღე ვადა გეძლევა ოჯახის პატრონს. თუ სულ ვერ დააკმაყოფილებ ქალების აშლილ მადას, ცოტათი მაინც მოიგებ იმათ გულსა; თორემ რა გეშველებოდათ, როდესაც ცოლი იძახის—მტკვარში გადავვარდებიო, რძალი გემუქრებათ—თავს ჩამოვიხრჩობო და გასათხოვარი ქალიშვილი უარეს დარდუბალას გიმზადებთ.

მერე რა ნახა ამ ქალთა სამეფომ დაროჟნოვის მაღაზიაში? ისა, რომ „რასპროდაჟაში“ ჩაუგდიათ 40,000 დარჩენილი ნაჭერი საქონელი. ახლა ისიც იანგარიშეთ, რომ ნაჭრად დარჩომილ საქონელს ერთნახევრად უფრო იაფათა ჰყიდიან ვაჭრები. ხუმრობა საქმე ასეთის „შემთხვევის“ გაშვება! მაგრამ ყველა ეს ხიდ ქვეშ იმ განცხადებასთან, რომ თვით ხელუხლებელ და გაუჭრელ საქონელში დაგითმობთო, ირწმუნება ოსტატი დაროჟნოვი, სამოს პროცენტსაო, ე. ი. მანეთიან ნივთს ორ აბაზად მოგართმევთო. ქვის გულიც რომ გქონდეს, მორბილდები და ყურად იღებ შენის ცოლისა და გასათხოვარ ქალის დაღადისს. ურიის ვალზე უფრო საშიშ ვალს აიღებ და იმათ-კი ფულს უშოვნი დაროჟნოვის მაღაზიის დასაცარიელებლად.

მართლაც ძალიან მოსავლიანი დღეები დაუდგა დაროჟნოვს ცხრამეტ აგვისტოდამ მოყოლებული. ჯერ არც-კი გაეღოთ მაღაზია, რომ ქალის ჯარი გამწკრივებულიყო კარების წინ და მუჯლუგუნის ხმა შორს მანძილზედ ისმოდა. ქალები ერთმანეთს ეცილებოდნენ, არა მე შევიდე მაღაზიაში პირველი, არა მეო. ბოლოს გაიღო სამოთხის კარიც. ქალებმა იხუვლეს და ეცნენ მაღაზიას. შეიქმნა არეულობა, წივილ-კივილი. ზოგს კაბის ქობა ჩამოეხია, ზოგს შლიაპა დაეჭმუჭნა, ზოგს ლენტები ასწყდა, ამას ლეჩაქი გაეფხრიწა, იმას თავსაკრავი და კოპი მოჰვარდა; მაგრამ ზარალს ვინ დაგიდევდა, ოღონდ-კი ერთი თვალი მაინც მოეკრათ იმ 40,000 ნაჭრად დარჩომილ საქონლისთვის, რომელსაც გაიძახოდა რეკლამა.

ასეთი ციებ-ცხელება ედგა ტფილისის მანდილოსნობას მთელი ექვსი დღე, ვიდრე გათავდებოდა ეს ღირს-საცნობი „რასპროდაჟა“. დაროჟნოვმა ჩაიჩხრიალა მოქალაქეთა ოქროები ჯიბეში. საქონლის ღირსებას რაღას დაგიდევს. მე-კი გავასაღო ჩემი სავაჭროვო და

მერე მოვიდეს სადაც
თუნდა ოსმალოს ჯარიო.

⁂

მაგრამ განა მარტო ტფილისელები მოაწყდნენ დაროჟნოვს და განა მარტო ქალები. აგარაკებიდგან მოაწყდა დიდ-ძალი მანდილოსნობა და შორეულ ქალაქებიდგან კიდევ ვაჭრები. ეს უკანასკნელნიც-კი ჩამოიტყუილა ხერხიანად შედგენილმა რეკლამამ. თუ-კი 60 პროცენტს დაგვიკლებს საქონელში, წავიდეთ, ერთი კაი „სოვდა ვქნათო“. ბევრმაცა ქნა „სოვდა“, ყუთი ყუთზე გაჰქიდა სავაჭროთი, რომ აუბას თვალი თავისს მუშტარს. ხოლო მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომ გამოიჩინეს საქონლის ღირსების ცოდნაცა და ფულის ანგარიშის ყადრიც. ამ უნარის გამოჩენას ზედ მოჰყვა აუცილებელი პროტოკოლი, რომელმაც სამართალში უნდა დაგვანახოს საქმის ვითარება და აგვიხილოს თვალი დაროჟნოვის „ვაჭრობის ავსა და კარგზედ.

აი, დაახლოვებით რას მოგვითხრობს პოლიციის პროტოკოლი: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ბაქოელი სოვდაგარი აბდულა ხალილ-ისმაილ-რახიმბექ-ხათაბალა-ოღლი. ვაჭრობდა ეს აბდულა ოცი წელიწადი და კარგა დიდი სარჩოც შეიძინა, აავსო ოჯახი ათასის ზინეთით. მაგრამ რადგან ბევრ ისმქონებელს აეშლება ხოლმე წყურვილი უფრო მეტის შეძენისა, აბდულაც აჰყვა ამ წყურვილს და, წაიკითხა თუ არა დაროჟნოვის რეკლამა, გამოეშურა ტფილისისაკენ, სადაც მანეთიანი საქონელი ორ აბაზობაზედ უნდა შეეძინა, რომ შემდეგ თავისს ქალაქში ექვს აბაზად გაესაღებინა. რაკი ამოდენა მოგება ულიმოდა აბდულას, ამანაც ცოტა ხნით დაივიწყა ყაირათი და პირველ კლასის ვაგონში ჩაბრძანდა, თუმცა აქამომდე მესამე კლასით მოგზაურობდა ყოველთვის. თანაც ექსპრესის „პოეზდი“ ამოირჩია, რომ მისთვის სხვას არ დაესწრო დაროჟნოვის საქონლის სყიდვა. იმავ მოგებით წახალისებულმა აბდულამ გადასწყვიტა გულში—მოდი ერთი კაი დღე ვნახო ბარემაო—და ჩამოხდა საცხოვრებლად ძვირფას რესტორან „ორიანტში“. მომწყინდა ეს გასატიალებელი ავლაბრის ბაკები და სამიკიტნოებიო. გაიწყო თუ არა ბინა, მაშინათვე გაექანა დაროჟნოვისკენ. გადმოაწყობინა რამდენისამე ასის თუმნის საქონელი, შეაკვრევინა ყუთები, იანგარიშა, გამოაკლო ჯამს სამოცი პროცენტი და დანარჩენი ფული გადაუთვალა კასირს. ეგონა, ეხლა ყველაფერი გათავდა, საქონელს წავიღებ ვოგზალზედ, გავგზავნი ბაქოში და მანამ იქ ჩავა, მე ერთი-ორი დღე იალაღზე ამოვისუნთქებ ტფილისშიო. ჩვენი ქალაქი ხომ იალაღად ჩაითვლება ბაქოსთან შედარებით. ჰო-და, როცა ჩვენი აბდულა ამ ოცნებაში იყო გართული, კასსირმა მისი ფული ყუთში ჩაალაგა და გასცა ბძანება, რომ არ დაანებონ აბდულას სავაჭრო, ვიდრე იგი არ წარადგენს დანარჩენ ფულსა.

— რომელიღა დანარჩენი ფულია, როდესაც მე მანეთში ორი აბაზი სრულად ჩაგაბარეო, შეეკითხა აბდულა.

— ვის გაუგონია, რომ მანეთში ორი აბაზი მისცეო. მანეთი მანეთია და ორი აბაზი სულ სხვაა, უპასუხეს აბდულას და ურჩიეს ჩქარა დანარჩენის მოტანა, თუ ჭკუას იყო.

აბდულამ მოითხოვა დაკმაყოფილება. გადუშალა განცხადება, სადაც ნათლად იყო ნათქვამი, რომ სამოც პროცენტს ვაკლებთ ფასებსაო. მაგრამ რომ ვერას გახდა, მოითხოვა პრეისკურანტი, რომ იმითი ეანგარიშნა ფასების ჯამი და მერე გამოსულიყო დაპირებული პროცენტები. პრეისკურანტი არ მოუტანეს—არ არის საჭიროვო, ჩვენ წინათვე გამოვედით პროცენტს და ისე წარმოგიდგინეთ ანგარიშიო. ბევრის დავისა და დარაბის შემდეგ აბდულა ხათაბალა-ოღლიმ მიჰმართა პოლიციას, შეუყენა ოქმი და გადასცა სასამართლოს, რომელსაცა სთხოვს, რომ დაუბრუნონ თავისი ფული და აღუდგინონ ზარალი. ჩემს დღეში ექსპრესით არ მიმგზავრნია, „ორიანტის“ ახლო არ გამივლია. ეხლა ამოდენა ფული დავხარჯე მოსალოდნელ მოგებიდგან და ასე სახტად-კი დავრჩიო.

ეტყობა, დაროჟნოვის მაღაზიას სამოცი პროცენტი იმ ფასებისთვის-კი არ დაუკლია, რაც პრეისკურანტში სწერებია, არამედ იმ ფასებისთვის, რომელიც თვითონ გუნებაში ჰქონია, და აბა კაცის გუნებას როგორ გაიგებ, თუ გულთმისანი არა ხარ.

ეხლა თქვენ იფიქრეთ, რა ჭირიანად ივაჭრებდა ჩვენი მანდილოსნობა, როდესაც თვით სოვდაგრებიც-კი ხახა-გამშრალები დარჩნენ, მაგრამ თვითონ დაროჟნოვიც ქვას ისწავლის და სოვდაგრებთან აღარ დაიჭერს საქმეს. აბა, რა ხელს მისცემს პროტოკოლები, სასამართლო, ათასი დარდი და ბორიატი. ქალებისთანა მუშტარი ვინ იქნება. არც საქონლის ღირსებაზედ აიტკიებენ თავსა და არც ანგარიშისთვის შესწუხდებიან. მოდი და ნუ აღფრთოვანდება ჩვენი სახელოვანი დაროჟნოვი და ნუ მიჰმართავს მანდილოსნობას პოეტის სიტყვით:

საფლავშიც შენზედ ვიფიქრებ,
შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია.

სანო.

ნიკოლოოზის ძეს ქავთარაძეს,—3 მანეთი და ვასოსი აბაშიძისას,—1 მანეთი.

საჩხერის სამკითხველოს გამგე ყ. ჩხეიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 სეკდემბერი

კურსკი. მოწყალების დათა საკრებულოში ხელმწიფე იმპერატორმა დაიარა დარბაზები, აღირსა მოწყალე სიტყვები სნეულთ და გაბრძანდა ბაღში, სადაც წარუდგა საკრებულოს პერსონალი. შემდეგ ხელმწიფემ დაათვალიერა ეკკლესია და მზრუნველის სადგომი და ჩასწერა თავისი სახელი უმაღლეს სტუმართა წიგნში და შემდეგ წაბრძანდა სათავად-აზნაურო საკრებულოში. მისაღებ კარებთან ხელმწიფეს დახვდნენ გუბერნიის და მაზრის მარშლები. მისი უდიდებულესობა შებრძანდა დიდ დარბაზში, სადაც იყო საბურველი გადაფარებული და უკვე გამზადებული ალექსანდრე III-ის ძეგლი. მტალმეისტერმა დურნოვომ მიართვა ხელმწიფეს პურ-მარილი. ყოვლად-უსამღვდელოესმა ლავრენტიმ შეკრებილ სამღვდელოებითურთ მონასტრიდან მოტანილ სასწაულთმომქმედ ღვთის-შობლის ხატის წინ შეასრულა ღვთის-მსახურება, წარმოსთქვა ხელმწიფის მრავალ-ჟამიერი და ალექსანდრე III-ის საუკუნო განსვენება. ამ დროს გუბერნიის მარშალმა მოაშორა ძეგლს საბურველი, წაუკითხა ხელმწიფე იმპერატორს სამადლობელი ადრესი და მიართვა ძეგლის მოდელი. შემდეგ ხელმწიფე წაბრძანდა სათავად-აზნაურო თავშესაფარპანსიონში, სადაც დაათვალიერა მოწაფეთა სადგომი და შებრძანდა სასტუმროში, სადაც იყო მომზადებული ჩაი და ბუფეტი. სუფრაზედ მიიწვიეს მარშალთა მეუღლენიც. სუფრაზედ ხელმწიფის გვერდით ისხდნენ ვიცე-გუბერნატორის მეუღლე და კნეინა ბარიათინსკისა. ხელმწიფის პირ-და-პირ-კი კურსკის ყოვლად სამღვდელო ლავრენტი, რომლის გვერდით ისხდნენ ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრები და მარშალთა მეუღლენი. მიართვეს ჩაი. ხელმწიფე მოწყალედ ესაუბრებოდა ირგვლივ მსხდომელთ. ხელმწიფემ ჩასწერა თავისი სახელი უმაღლეს სტუმართა წიგნში და სამის ნახევარზედ წაბრძანდა გუბერნატორისას. ხელმწიფის მობრძანებაზედ გუბერნატორის სახლთან შეიკრიბნენ კურსკის გუბერნიის მამასახლისები და იმპერატრიცა მარიამის სახელზედ დაარსებულ ბავშვთა თავშესაფარის მოწაფენი. ხელმწიფის ბრძანებით მისაღებ დარბაზში შეგროვდნენ კურსკის, ხარკოვის, პოლტავის, ჩერნიგოვის, ორლოვის და ვორონეჟის გუბერნიის მამასახლისები და გლეხობა და ჩერნიგოვის, ორიოლის და ვორონეჟის გუბერნატორები. მალე მოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, ობერ-ცერემონ-მეისტერი ფონ-ბიუნტინგი, მარშლები და სხვა უმაღლესნი კარის კაცნი. სამს საათზედ მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე დიდ მთავართა თანხლებით. ხელმწიფე შებრძანდა გუბერნატორის კაბინეტში, სადაც ბავშვთ თავშესაფარის შეგირდებს ჰქონდათ ბედნიერება მიერთმიათ ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასულისათვის მოქარგული საშე და სუჯნის ხალეულთა სახელოსნოს მოწაფეებმა მათი ნამუშევარი ხალი. მისმა უდიდებულესობამ უბრძანა მადლობა ბავშვებს და შებრძანდა მისაღებ ოთახში, სადაც იყვნენ შეყრილნი მამასახლისები. შემოვლის დროს ვიცე-გუბერნატორი ამბობდა ამ მამასახლისთა სახელებს, ან საიდგან იყვნენ ისინი. ჩამოუარა გლეხებს ხელმწიფემ და მიჰმართა შემდეგის მეფურის სიტყვით:, გაზაფხულზედ პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიის ზოგიერთ ადგილას გლეხებმა გასძარცვეს ახლომახლო მემამულეთა სახლ-კარიო. დამნაშავენი დასჯილ იქმნებიან წესისამებრ, ხოლო მთავრობა მოახერხებს, დარწმუნებული ვარ და აღარავის მისცემს შემდეგში მაგისთანა უწესოებათა ჩადენის შემთხვევას. გავახსენებთ, რაც უბრძანა განსვენებულმა მამა-ჩემმა მამასახლისებს სამღვთო დაგვირგვინების დღეებში: ყური უგდეთ და უსმინეთ თქვენს მარშლებს და ნუ მიაქცევთ ყურადღებას სულელურს ყბედობასა და ჭორებს. გახსოვდეთ, რომ ადამიანები მდიდრდებიან არა სხვისა ქონების მოტაცებით, არამედ პატიოსანის შრომით, მომჭირნეობითა და ღვთის მცნებათაებრ ცხოვრებითა. გარდაეცით ყოველივე, რაც გითხარით თქვენებურებს და ისიც უთხარით, რომ ნამდვილ მათ საჭიროებისა და გაჭირვებისათვის მე ზრუნვას არ დავუტევებ“. სამი საათი იქნებოდა, რომ ხელმწიფე გამობრძანდა. გლეხკაცნი ხმა მაღლა იძახდნენ ალტაცებით: „მსურველნი ვართ, სარწმუნოებითა და სიმართლით ვემსახუროთ თქვენს უდიდებულესობასაო“. ხელმწიფე შებრძანდა გუბერნატორის კაბინეტში და სწორედ სამ საათზედ მემკვიდრითურთ გაემართა თავ-ახდილ ეტლით რიშკოვს, ხალხის ალტაცებულ ხმაურობით გარემოცული. ხელმწიფემ, მიიღო-რა პურ-მარილი ქალაქის თავისაგან 1 სეკდემბერს კურსკში, მადლობა გადუხადა პურ-მარილისა და იმ გრძნობათათვის, რომელიც მკვიდრთ გამოუცხადეს. იმავე დღეს ხელმწიფემ სიამოვნებით ინება კურსკის სათავად-აზნაურო საკრებულოში ყოფნა და იქ მიირთვა სადღეგრძელო კურსკის თავად-აზნაურობის კეთილდღეობისა.

პეკინი. სრულიად სამეფო კარი გადასახლდა საზაფხულო სასახლეში სამის წლის იქ არ ყოფნის შემდეგ. სასახლე საუცხოვოდ არის განახლებული და ყოველივე ნიშანი იქ უცხოელთა ყოფნისა მოსპობილია.

პოტსდამი. სადღესასწაულო სადილზედ, რომელიც გამართულ იქმნა საქსონიის კაროლის მობრძანების გამო, იმპერატორმა გაიხსენა, რა გულითადი მეგობრობა ჰქონდა განსვენებულ მეფე ალბერტთან და სთხოვა კაროლს გეორგს ისევე მიგულეთ, როგორც თქვენი ძმაო. კაროლმა მოახსენა პასუხად, რომ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რამდენადაც-კი ეგ ჩემზე, ჩემს ოჯახსა და ხალხზედ იქმნება დამოკიდებული, ვეცდებით ისეთი გულითადი მეგობრობა ვიქონიოთ თქვენთან და იმპერიასთან, როგორიც არსებობდა მეფე ალბერტის დროსაო. ვეცდებით შეურყევლად თქვენსკენ მოვისწრაფებოდეთო.

პარიჟი. სპარსეთის შაჰი დილის 10 საათზე გაემართა რუსეთს. ვოკზალზედ მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ლუბეს წარმომადგენელს პოლკოვნიკს ბოტაილიუს გულითადის მასპინძლობისათვის. ხალხმა სალამი მიუძღვნა რუსეთის საელჩოს წარმომადგენელთ ნარიშკინსა და ვიაზემსკის, რომელნიც ვოკზალზედ იყვნენ და რომელთაც უსურვეს შაჰს კეთილად მგზავრობა.

კურსკი. 1 სეკდემბერს, საღამოს 8 საათზედ, სასახლის კარავში რიშკოვს უმაღლესი სადილი იყო. კურსკის გუბერნიაში მიბრძანების გამო, ხელმწიფემ ბრძანა სამი დღით განათავისუფლონ სწავლისაგან ყველა სასწავლებლების მოწაფეები.

რიაზანი. საშემოდგომო თესვას კარგად მორჩნენ. სეტყვისაგან დაზარალებულს გლეხებს სათესლე ხორბალი სესხად მისცეს.

საიგონი. 300 ინგლისელმა ჯარის-კაცმა, ადგილობრივის სულთანის მოთხოვნით, დაიკავა კელატანის სამთავრო, რომელიც ხარკს სიამას აძლევს. ამ ძალ-მომრეობამ დიდად ააღელვა სიამელები. შიშობენ, რომ ინგლისი თავისს პროტექტორატს მთელს მალაიის ნახევარ კუნძულზე გაავრცელებსო. როგორცა სჩანს, აჯანყება ჩრდილოეთს სიამაში ჰქრება.

ლონდონი. „Daily Mail“-ი იტყობინება სიდნეიდგან, რომ ავსტრალიის სხვა-და-სხვა პარლამენტებში შეიტანეს წინადადება საერთო კავშირის მოსპობის შესახებაო. შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ლაინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სთქვა, რომ უკმაყოფილება საერთოაო, და აღიარა, რომ კავშირის მექანიზმი ერთობ უშნო და მოუხერხებელი არისო. მისის აზრით ასევე ჰფიქრობენ ის ბევრნი ათასნი, რომელნიც სახალხო შეკითხვის დროს კავშირის მომხრენი იყვნენ.

ვლადიკავკავი. ვლადიკავკავში გაიხსნა კადეტთა კორპუსი.

ხარკოვი. სოფელს მერეფში ხარკოვის მაზრისა გადაიწვა 114 კომლი ყოველის ქონებით და წრევანდელის მოსავლით. ზარალი 200,000 მანეთზე მეტია.

პარიჟი. გაზეთი „Matin“ აცნობებს, რომ ერთმა მისმა თანამშრომელმა სთხოვა რომის პაპს აუდიენცია და კარდინალმა რამპოლამ თვისის წერილით უარი აცნობა. რომის პაპმა მტკიცედ გარდასწყვიტა დიდის სიფრთხილით მოიქცეს და არ წარმოსთქვას არც ერთი სიტყვა წინააღმდეგ საფრანგეთის პოლიტიკისა, ამისათვისიძულებული იყო უპასუხოდ დაეტოვებინა ადრესი საფრანგეთის მლოცავებისა და აგრეთვე არ მიეღო საფრანგეთის ჟურნალისტები.

მოსკოვი. დღეს აკურთხეს ახალი უშველებელი შენობა სავაჭრო ნოქრების საზოგადოებისა, საზოგადოების დაწესებულებათათვის და სავაჭრო სკოლისა 300 ვაჟისათვის სამყოფი და სახელოსნო სკოლისა 200 ქალისათვის სამყოფი.

კურსკი. დღეს ხელმწიფე იმპერატორი ტახტის მემკვიდრითურთ, დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და ამალა, დილის 9 საათზე წაბრძანდნენ რკინის გზით პლატფორმაზე მახლობლად სოფლის დიაკონოვისა; იქ მეფეს დახვდა აღლუმთა შუა-კაცი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და გადაბრძანდა ეტლში. მათი უდიდებულესობა წაბრძანდა იმ ალაგებს, სადაც ჯარები უნდა გაეიდნენ მდინარე სეიმს. ამ დღეს ჩრდილოეთის ჯარი განაგრძობდა მოშორებას ამ მდინარისას იმ მიზნით, რომ მდინარის იქით დაეჭირა ალაგი, რომელიც ჰფარავს ქალაქს კურსკს. სამხრეთის ჯარმა დაიდვა მიზნათ იმავე მდინარის მიდწევა და მის ფონების დაჭერა. პლატფორმაზე მეფეს დახვდნენ გარემო მცხოვრებელნი.

გლეხების ხორომ იმღერა ჰიმნი. მალცევის ფონისკენ მიმავალი ხელმწიფე შეჩერდა სოფ. დიაკონოვთან, სადაც მას დაუხვდა შემოსილი კრებული ეკკლესიისა ჯვარითა და წმ. წყლით. ხელმწიფემ მოისმინა მოკლე პარაკლისი. ხელმწიფის გამოსვლას ეკკლესიიდან ელოდა უთვალავი ხალხი, რომელიც მისს გამობრძანებას მიეგება „Боже Царя храни“-ს გალობით და გაატანეს მისი უდიდებულესობა „ურას“ ძახილით. მდ. სეიმის ნაპირას მისვლისას ხელმწიფე თვალ-ყურს ადევნებდა, თუ როგორ შლიდნენ პონტონის ხიდს, რომელიც გაეკეთებინა ჩრდილოეთის ჯარს. ხელმწიფემ სალამი მისცა ზოგიერთს ნაწილს ამ ჯარის თავისუფალ კორპუსისას. აქედან ხელმწიფე წავიდა სოფ. ლოზოვის ფონთან. ამ სოფელში ხელმწიფე შებრძანდა ეკკლესიაში. მდინარის გაღმა ამ დროს იდგა მთელი მეათე კავალერიის დივიზია მერვე კორპუსის ქვეითა ჯარის მოწინავე რაზმებითურთ. ამ კორპუსის მთავარი ძალები-კი ბანაკად იდგნენ გაღმავე. ხელმწიფისაგან ამ ჯარების ნაწილების ნახვამ ალტაცებული „ურა“ გამოიწვია. ჩინებული ტაროსი ხელს უწყობდა ჯარებს, რომ გაევლოთ 35—40 ვერსამდის. ლოზოვოდგან ხელმწიფე უკანვე დაბრუნდა სოფელს რიშკოვოში, სადაც მიბრძანდა მესამე საათის გასულს იქ ხელმწიფეს დარაზმული დახვდა კავკასიის ყაზახთა პოლკების ბრიგადა, რომელიც ამ აღლუმების დროს მიწერილია სამეფო მთავარს ბანაკზე. 4 საათზედ ხელმწიფე გაბრძანდა ბრიგადასთან და სალამი მისცა, ხოლო შემდეგ დაწვრილებით დაათვალიერა ბარგის ეტლები და თვის წინაშე გაატარა ბრიგადა, რომელმაც სიმღერების ოქმით გაიარა.

სახალინი. მოიყვანეს გემი „თუნგუზი“ თათრის სრუტეში სატელეგრაფო კაბელის გასაყვანად, რადგან უწინდელი მარშან გაფუჭდა. მის გასაყვანად ეხლა სხვა, უფრო ვიწრო ადგილი აირჩიეს და იმედოვნებენ, რომ ნავთსნობის დაწყებისათანავე აღდგენილ იქმნება დეპეშების მიწერ-მოწერა კუნძულსა და ხმელეთს შორის.

ბერლინი. ნაშუადღევის 4 საათზედ სილეზიის სადგურზედ მობრძანდა სპარსეთის შაჰი რუსეთს გასამგზავრებლად. იმპერატორის მინდობილობით შაჰს წარუდგა სტატს-სეკრეტარი რიხტჰოფენი, მიესალმა და უსურვა ბედნიერად განგრძობა მგზავრობისა. შაჰი დიდის ვეზირის თანადასწრებით სიამოვნებით ემასლაათებოდა მასთან მისალოცად მისულებს. ოთხის საათის დახანების შემდეგ იგი გაემართა რუსეთისაკენ.

3 სეკდემბერი.

პეტერბურგი. უმაღლესის სახელდობრივ ბრძანებით დაინიშნენ: შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის მმართველი მორდვინოვი; შინაგან საქმეთა მინისტრის სათავად-აზნაურო საქმეთა კანცელარიის დირექტორად; ტამბოვის გუბერნატორი რჟევსკი—სიბირსკისა და საუფლისწულო მათავარ მმართველობის უფროსის თანაშემწე მუსინ-პუშკინი—მინსკის გუბერნატორებად; არხანგელის ვიცე-გუბერნატორი ფონ-დერ-ლაუნიცი—ტამბოვის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად; რკინის გზის საანგარიშო დეპარტამენტების გენერალ-კანტრალიორის თანაშემწე ქარნოვსკი—რკინის გზათა და საბაჟო საქმეთა საბჭოების სახელმწიფო საკანტროლოს წევრად, და თანაც დატოვებულ იქმნა იმავე თანამდებობის აღმასრულებლად.—ინიშნებიან: რუმინიის კარზედ მყოფი საგანგებო ელჩი ფონ-ტონი—სამინისტროს საბჭოს წევრად; პეკინში მყოფ მისსიის პირველი მდივანი კრუპენსკი—ბერლინის საელჩოს პირველ მდივნად.

„Русскій Инвалидъ“-ში გამოქვეყნებულია იმ სამხედრო პირთა სახელები, რომელთაც ბულგარიის საიუბილეო დღესასწაულში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ლონდონი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ უსაფუძლოა პარიჟში გავრცელებული ხმები, ვითომც კელანტანის სამთავრო 300 ინგლისელ ჯარის-კაცს დაეჭიროს.

სოფია. „ბულგარიის სააგენტოს“ ცნობებით სახალხო კრების დამთავრებით არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა და მთავრობის სასარგებლოდ დამთავრდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. არდატოვის მაზრაში, ქულებაკის ქარხანაში, საქარხნო ფერშლის ოჯახში 15 წლის ბავშვების მომვლელ ქალს დაუხრჩვია ორი მცირე-წლოვანი ბავშვი. როდესაც შეიპყრეს, მან განაცხადა, ბავშვებმა თავი მომაბეზრესო, და გამოტყდა, რომ ქალაქ მელენკიში ყოფნის დროსაც ამ გვარად ვიშორებდი თავიდგან ბავშვებსაო.

ტომსკი. გაიხსნა პირველი კერძოდ ქალთა სასწავლებელი მირკოვიჩისა დედათა გიმნაზიის კურსით; ჯერ-ჯერობით სამი კლასი იხსნება.

პეტერბურგი. „მთავრობის უწყებებში“ დაბეჭდილია ცირკულიარი ფინანსთა მინისტრისა საქციზო გადასახადთა გამგეთადმი 1902—1903 წ.წ. განმომავლობაში ქარხნებში დარჩენილ გადამეტებულ შაქრის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 1 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,02½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,, ...	46,25
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1993 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . . 295	წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87⅜ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅜
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	179 წვ. გაყ. —

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 7 სეკდემბრისათვის დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1) დუტუ და ივან ჩემინავათა საკასაციო საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას წინააღმდეგ გრ. კემულარიას ვალის გამო.

2) გვათია და ნესტორ კვარცხალიათა საჩივარი რუსუდან გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდან გამორიცხვის შესახებ.

3) გვათია და ნესტორ კვარცხალიათა და გრიგოლ კემულარიას დავა მამულის დარღვეულ მფლობელობის აღსადგენად.

4) შირვან და სანდრო ჩემინავათა საჩივარი რუსუდამ გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

5) ნიკო კვარცხალიას საჩივარი რუსუდან გვათუას და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

6) ქვაბან ჯოლოგუას საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

7) ძვაძვაიას და სამსონ გაბუნიების საჩივარი რუსუდან გვათუასა და დურუხან გიგიბერიას მამულის აღწერიდამ გამორიცხვის შესახებ.

8) დუტუ და ივანე ჩემინავათა და გრიგოლ კემულარიას დავა მამულის დარღვეულ მფლობელობის აღსადგენად.

9) ალექსანდრე ამირხანოვისა, გიორგი სოფრონაძის და ვანო სანჩულაშვილის დავა 100 მანეთზედ.

განცხადება

საჭიროა რამდენიმე პატარა ბიჭი გაზეთის დამტარებლად. მსურველთ უნდა მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციას დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2-მდე.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში მიმდინარე წლის ენკენისთვის ოც რიცხვიდგან დაიწყება მისაღები ეგზამენები პირველ და მოსამზადებელ კლასებში. ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოების თავისუფალი სტიპენდიები არის. თხოვნის მიღება გათავდება 19 სეკდემბერს. თხოვნასთან უნდა იქმნეს გამოგზავნილი შემდეგი საბუთის ქაღალდები:

ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სისოდადურ კანტორიდგან.

ბ) ყვავილის აცრის მოწმობა.

გ) სიღარიბის მოწმობა, თუ სტიპენდია უნდა.

დ) წოდების მოწმობა (თუ თავადია ან აზნაური) მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან.

სასწავლებელში იღებენ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის ძველ მცხოვრების შვილებს.

სასწავლებლის დრ. მმართველი ნ. მკურნალი.

(3—208—1)

გუმმი-პეპსინი

(Gummi-Pepsin)

პროვიზორის ი. ი. პოგოსსკისა.

საღეჭი კამფეტი პიტნა-ნარევი, საჭმელის მოსანელებელი და დიდად მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს.

5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—6.—9)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра . . .	3	“
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе		10

ქუთაისის წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის

ამხანაგობის გამგეობა

აცხადებს, რომ შემდეგი მორიგი ვადა ამხანაგობის დროებით პაიების კვიტანციების I-ლი და მე-II სერიის ხვედრის შემოტანისა ახლოვდება (ამ წლის 10 სექტემბერს) და ამიტომ საყოველთაოდ აუწყებს, რომ ეს ხვედრი შემოსატანი მიიღება ქალაქ **ქუთაისში ამხანაგობის გამგეობაში**, აგრეთვე **ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში**; **ტფილისში განსაკუთრებით სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების ბანკში.**

ნამდვილი და დროებითი (მე-III-ე სერიის) პაიების კვიტანციები ამხანაგობისა მსურველს შეუძლია შეიძინოს **ქუთაისში**: 1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში, 3) მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის ხაზინადრის თავ. ი. ა. მიქელაძესთან და 4) შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს მდივანთან, ა. თ. ნაცვლიშვილთან. **ტფილისში**: 1) სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრებთან: თავ. რ. თ. ამირეჯიბთან, ა. ს. ბაბოვთან და თავ. ნ. დიასამიძესთან; **ბათუმში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ფოთში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ჭიათურაში**—შავი-ქვის მრეწველთა საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში.

(3—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.